საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№112/20 „22“ დეკემბერი2020 წ.

შ.პ.ს „მაზა“-ს დირექტორს
ბატონ ზაზა ბოხუას

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა: „ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეტრე იბერის ქუჩა №22-ში ასაგები შენობის გავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობების საძირკვლებზე.

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეტრე იბერის ქუჩა №22-ში შ.პ.ს. „მაზა-ს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.10.06.001.281 A=1895მ.^{2}) წარმოდგენილი მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული პროექტი. წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი ითვალისწინებს ორი კონსტრუქციული სართულის დაშენებას. იმის გამო, რომ გაიზარდა შენობის სიმაღლე, საჭირო გახდა კვლევა ტექნიკური ზეგავლენის შესახებ ჩატარებულიყო 20მ. რადიუსის ფარგლებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკვლევ არეალში მოექცა საპროექტო შენობის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საკადასტრო კოდით(ს/კ№01.10.06.001.026) საპროექტო შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში. შენობის სიგრძე ღერძებში „1“÷“4“; 17.45მ.-ია. ღერძებში „ა“÷“კ“; 49.7მ. მისი სართულიანობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

-პირველი სართული განკუთვნილია ავტოსადგომებისათვის იატაკის ნიშნულით -1.4 0 (გეოდეზიური ნიშნული 473.70მ).

-დანარჩენი სართულები საცხოვრებელია, რომელთა სიმაღლეა 315სმ.

კორპუსის საძირკველი წარმოადგენილია მთლიანკვეთიანი მონოლითური რკინაბეტონის ფილას, სისქით h=110სმ. ფილის ქვეშ მოწყობილია ბეტონის მომზადება სიმტკიცის კლასით B7.5. მომზადების ქვეშ მოწყობილია მდინარის ბალასტის ფენა სისქით 30სმ. ბალასტის ქვეშ, საინჟინრო გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე საძირკვლის ფუძედ მიღებულია ფენა №2; თიხნა (წვრილი ღორღის ჩანართებით) რომლის ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლებია:

სიმკვრივე ρ=1. 96ტ/მ^3.

ხვედრითი შეჭიდულობა.	$c=0.45$კგ/სმ^2.
შიდა ხახუნის კუთხე	$\varphi^0=18^0$
დეფორმაციის მოდული	E = 210კგძ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0=3.5 კგძ/სმ^2.

საპროექტო შენობის მიერ ირგვლივ არსებულ შენობა-ნაგებობებზე ტექნიკური ზეგავლენის შესწავლის მიზნით, გამოკვლევა ჩატარდა არანაკლები 20მ. მანძილით დაცილებული სამშენებლო ობიექტებისათვის.

საპროექტო შენობის ტერიტორიას ჩრდილო დასავლეთიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ს/კ№01.10.06.001.026, მასზე განთავსებული მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით. შენობები მონოლითური რკინაბეტონის კარკასული ტიპისაა, ნაშენი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები. კარკასის სვეტები შევსებულია წვრილი საკედლე ბლოკის წყობით ცემენტ-ქვიშის ხსნარზე. შენობები იმყოფება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

მინიმალური მანძილები შ.პ.ს. „მაზა“-ს ტერიტორიის სასაზღვრო (წითელი) ხაზიდან შენობებამდე ტოლია
-11.3მ; 44მ; 21მ.
მინიმალური მანძილები საპროექტო შენობიდან განსახილველ შენობებამდე შესაბამისადტოლია
-19.4მ; 50მ; 25მ.

საპროექტო შენობა არსებული საცხოვრებელი სახლებისათვის, მანძილებისა და საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს.

ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.10.06.001.029, ტერიტორია თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან. მინიმალური მანძილი შენობის კედლის სიბრტყიდან ღობემდე (სასაზღვრო წითელ ხაზამდე) 7მ.ია.

ტერიტორიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება პეტრე იბერის ქუჩა. მინიმალური მანძილი შენობის კედლის სიბრტყიდან ქუჩამდე 11მ.ია.

საპროექტო შენობა გზის საფარისათვის მანძილისა და საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს.

სამხრათიდან საპროექტო შენობის ტერიტორიას ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.10.06.001.191 (მესაკუთრე შ.პ.ს. ჯი ემ ჯი). მასზე

მდებარე ერთ სართულიანი ავტოტექმომსახურების ცენტრის შენობით. შენობის გაბარიტული ზომებია L×B≈34×8.5მ. საპროექტო შენობასა და ავტოტექმომსახურების შენობებს შორის მინიმალური მანძილია 0.95მ; ხოლო მაქსიმალური მანძილი 1.75მ.

შენობებს შორის სიახლოვისა და იმის გამო, რომ ფუძედ არ არის მაღალი მზიდუნარიანობის უკუმშვადი ძირითადი ქანები, მშენებარე შენობის მხრიდან უარყოფითი ზეგავლენის გამოსარიცხად, საჭიროა მთელს სიგრძეზე მოეწყოს ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯების ე.წ. დამცველი ფარდა, რომელიც საერთოდ გამორიცხავს რაიმე სახის დეფორმაციის განვითარების შესაძლებლობას. ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯების დიამეტრი d=15სმ.-ს. მათ შორის მანძილი სინათლეში არანაკლები l≥3·d=3·15=45სმ. მივიღოთ 50სმ. ხიმინჯების მინიმალური რაოდენობა n=34/0.5=68ცალი. ხიმინჯების სიგრძე l=5მ.

დასკვნა.

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეტრე იბერის ქუჩა №22-ში შ.პ.ს. „მაზა-ს მიერ თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.10.06.001.281) დაპროექტებული მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი მშენებლობისას (და რა თქმა უნდა შემდგომი ექსპლოატაციის პერიოდში) მანძილებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, არ იქონიებს უარყოფით ზეგავლენას ჩრდილოეთის; დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეებზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე. რაც შეეხება სამხრეთის მხარეს არსებული ავტოტექმომსახურების ერთ სართულიან შენობას, საჭიროა მთელს სიგრძეზე მოეწყოს ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯების ე.წ. დამცველი ფარდა, რომლის ტექნიკური მონაცემები მოყვანილია ზემოთ.

შ.პ.ს. „მონოლითი“-ს დირექტორი /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/

საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

პირადი მონაცემები (CV).

მე მალხაზ (მიხეილ) ივანეს ძე საველიძე დავიბადე ქალაქ ბათუმში 1962 წლის 22 ნოემბერს. 1966 წლიდან ვცხოვრობ ქალაქ თბილისში. 1979 წელს დავამთავრე ქ. თბილისის №77-ე საშუალო სკოლა. 1980წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სპი) სატრანსპორტო ფაკულტეტზე სპეციალობით ხიდები და გვირაბები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1985 წელს განაწილებით მოვხვდი საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტი“-ს (ამჟამად ამ შენობაში განთავსებულია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო) პირველ არქიტექტურულ-სამშენებლო განყოფილებაში. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში (1985-1987 წლის სექტემბერი) მონაწილეობა მივიღე მრავალი სამრეწველო შენობის დაპროექტებაში. 1987წლის სექტემბრიდან 2000წლამდე ვმუშაობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის სამეცნიერო ინსტიტუტში, გამოყენებითი დრეკადობის თეორიის განყოფილებაში. ინსტიტუტში მუშაობის წლებში გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო სტატიები გარსული ტიპის გადახურვებში 1990 წელს დავაფუძნე საპროექტო ორგანიზაცია, კოოპერატივი „ხუროთმოძღვარი“ სადაც ვმუშაბდი მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია იწოდება შ.პ.ს. "მონოლითი", სადაც დღემდე ვმუშაობ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. ორგანიზაციის ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ისნის რაიონი, გელათის ქუჩა №7 (ყოფილ საპრეზიდენტო რეზიდენციასთან ახლოს) ტელეფონი: 277-45-84.

განვლილი წლების განმავლობაში შ.პ.ს. "მონოლითი"-ში ჩემი ხელმძღვანელობით დაპროექტებული და აშენებულია მრავალი სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების მქონე (სამრეწველო, სამოქალაქო, საზოგადოებრივი და ხელოვნური) ობიექტები, როგორც ქალაქ თბილისის, ისე საქართველოს დანარჩენ რეგიონებში და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მოვიყვანთ შესრულებული სამუშაოების მცირე ჩამონათვალს:

- ალუმინის მეორადი გადამუშავების ქარხნის რეკონსტრუქცია ქ. რუსთავში. 1987 წ.
- ქ. რუსთავის ცენტრალური კინოთეატრის რეკონსტრუქცია. 2000 წ.

- მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები ქ. თბილისში (დამკვეთები: შ.პ.ს. "ცენტრ-პოინტი"; შ.პ.ს. "საბა+"; შ.პ.ს. "მოდული"; შ.პ.ს. "D+"). 1997-2008 წწ.
- საინვესტიციო ჯგუფი "ტიფლისი".
- მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობები ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქობულეთში.
- მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი ქ. თბილისში, ცაბაძის ქ. №8-ში. (საქართველო-ისრაელის ერთობლივი პროექტი). 2008 წ.
- კოჭური ხიდი ქ. თბილისის ბოტანიკურ ბაღში. 1995-1996 წწ.
- საყრდენი კედელი ქ. თბილისში. (მოსკოვის ქუჩა; ტაბიძის ქუჩა) 1997 წ. 2001 წ.
- სპორტის სასახლე ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე. 2007 წ.
- რკინიგზის სადგური ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2007 წ.
- საზკვების კომპლექსები ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე. "წისქვილი"; "თაღლაურა"; "ლაკადა"
- ქ. ფოთის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი.
- სასტუმრო ქ. ქუთაისში. (რუსთაველის ქ. №5-ში). 2008 წ.
- ანგარი ავიაკომპანია "აირზენა"-სათვის ბოინგი 737/500 ტიპის თვითმფრინავების დასაყენებლად. 2001 წ.
- ნავთობპროდუქტების შესანახი ბაზა ავიაკომპანია "აირზენა"-ს საჭიროებისათვის ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2002 წ.
- ავიაკომპანია "აირზენა"-ს თვითმფრინავების მგზავრთა კვებისა და მომსახურებისათვის საჭირო შენობა ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2002 წ.
- ღვინის ქარხნები, ყვარელში, სოფ. აკურაში, წინანდალში. 1998-2002 წწ.
- საცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №78.
- "ცენტრ-პოინტი"-ს აცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე.
- ყინულის საცივურაო მოედნის კომპლექსის (საბურთალო) რეკონსტრუქცია.
- ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, ყვარელში. 2009 წ.
- ქართული კულტურის ცენტრის შენობა ქ. ბაქოში.
- მრავალფუნქციული კომპლექსი ქ. დნეპროპეტროვსკში 2009 წ.
- მუსტაფა ქემალ ათათურქის ქანდაკების კონსტრუქცია (სიმაღლით 29მ.) თურქეთში, ქალაქ ართვინში
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
- ძაღლსაშენი კომპლექსი მაკედონიაში, ქ. სკოპლე.

- ქ. თბილისის ძველი უბნების დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გაძლიერება.
- ყოფილი "ბერიკონი"-ს შენობა "მშვიდობის" ხიდთან (კაზინო "შანგრილა") 2011 წ.

ცალკე აღსანიშნავია ავარიული ნაგებობების აღდგენა-გამაგრებითი საპროექტო სამუშაოები.

ქ. თბილისში დაზიანებული საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ბაგა-ბაღები, საავადმყოფოები, სპორტული, ისტორიული მნიშვნელობის შენობები; რომელთა კვლევის და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ, აქტიური საავტორო ზედამხედველობის პირობებში შესაძლებელი გახდა მრავალი ნაგებობის გადარჩენა და შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაცია.

შ.პ.ს. "მონოლითი"-ს

მთავარი ინჟინერი. /მ. სველიძე/

დიპლომი

КВ № 153475

ეს დიპლომი მიეცა მიხეილ
ივანეს ძე საველიძეს
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1985 წელს დაამთავრა
აღნიშნული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ხიდები და
გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
„29“ ივნისის გადაწყვეტილებით
მ.ი. საველიძეს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

ბ. ა. მდივანი

ქალაქი თბილისი 1986 წ. „31“ XII

სარეგისტრაციო № 4810

Грузинский яз.

ДИПЛОМ

КВ № 153475

Настоящий диплом выдан Савелидзе
Михаилу Ивановичу
в том, что он в 1980 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1985 году окончил полный курс
названного
института
по специальности мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „29“ июня 1985 г.
Савелидзе М.И.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии

Ректор

М. П. Секретарь

Город Тбилиси „31“ XII 1986 г.

Регистрационный № 4810

Московская типография Гознака. 1982.

О ТРУДОВЫХ КНИЖКАХ РАБОЧИХ И СЛУЖАЩИХ

Постановление Совета Министров СССР и ВЦСПС
от 6 сентября 1973 года № 656

(Извлечение)

1. ...Трудовые книжки ведутся на всех рабочих и служащих государственных, кооперативных и общественных предприятий, учреждений и организаций, проработавших свыше 5 дней...

4. Рабочий и служащий, поступающий на работу, обязан предъявить администрации предприятия, учреждения, организации трудовую книжку, оформленную в установленном порядке.

5. Прием на работу без трудовой книжки не допускается...

6. В трудовую книжку вносятся:

сведения о рабочем: фамилия, имя, отчество, дата рождения, образование, профессия, специальность;

сведения о работе: прием на работу, перевод на другую работу, увольнение. Записи о наименовании работы или должности, на которую принят работник, производятся: для рабочих в соответствии с наименованиями профессий, указанных в Едином тарифно-квалификационном справочнике работ и профессий рабочих; для служащих в соответствии с наименованиями должностей, указанных в Единой номенклатуре должностей служащих, или в соответствии со штатным расписанием;

сведения о награждениях и поощрениях: награждения орденами и медалями, присвоения почетных званий; награждения и поощрения за успехи в работе, предусмотренные правилами внутреннего трудового распорядка и уставами о дисциплине; другие поощрения в соответствии с действующим законодательством;

сведения об открытиях, на которые выдан диплом, об использованных изобретениях и рационализаторских предложениях и о вознаграждениях в связи с этим вознаграждениях.

Взыскания в трудовую книжку не записываются.

7. С каждой записью, вносимой в трудовую книжку (вкладыш), о назначении, перемещении и увольнении администрация обязана ознакомить владельца этой книжки.

12. Заполнение трудовых книжек и вкладышей к ним производится на том языке, на котором ведется делопроизводство на данном предприятии, в учреждении, организации. В том случае, если делопроизводство ведется на языке союзной или автономной республики, трудовая книжка заполняется одновременно на языке данной республики и на русском языке.

13. При увольнении... все записи... внесенные в трудовую книжку..., заверяются подписью руководителя предприятия, учреждения, организации или специально уполномоченного им лица и печатью.

40

ЭТ-I № 0504734

01

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата: число	Дата: месяц	Дата: год	Сведения о приеме на работу, и об увольнении (с указанием на статью,	о переводах на другую работу причин и со ссылкой пункт закона)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
1		2		3		4
64	16	09	1985	Зачислен в строительный	архитектурно отдел № 1 на	16.09.85. Пр. №184-к
65	14	09	1987	Уволен по	собственному	15.09.1987,
				Начальник	32 КЭОП ГСПР	Пр №188-к
					Э.И. Бадиа	

Министерство строительства СССР
ВПО „СОЮЗПРОЕКТ"
Государственный ордена „Знак Почета"
Грузинский проектный институт
„ГРУЗГОСПРОЕКТ"
380026, г. Тбилиси, наб. Сталина, 4

6 7

ცნობები მუშაობის შესახებ

ВТ-I № 0504734

ჩანაწერის №	თარიღი: წელი	თარიღი: რიცხვი	თარიღი: თვე	ცნობები სამუშაოზე მიღების, დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით	სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
1	2			3		4
7.	1987	14	09	[illegible]	[illegible]	[illegible]
8.	1992	16	04	[illegible]	[illegible]	[illegible]
9.	01	07	1999	[illegible]	[illegible]	

44

45

ცნობები მუშაობის შესახებ

ჩანაწერის №	თარიღი			ცნობები სამუშაოზე მიღების, სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ (მიზეზების მითითებით)	რის საფუძველზე შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
	წელი	თვე	დღე		
1	2			3	4
10.	1998		12.	[illegible]	
[illegible]	2005		02.	[illegible]	

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15126541, 10/06/2015 17:55:09

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მონოლითი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	202242233
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	2/4-4109; 01/10/2004
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურ. რ-ნის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, თევდორე მღვდლის ქ., №5, ბინა №16

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01030046029, გიორგი იაშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01030046029, გიორგი იაშვილი	50.00000000%	
01011042590, მიხეილ საველიძე	50.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ–ფოსტით: info@napr.gov.ge